

შპს „ფრანკო“

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	10
2. მომზადების საფუძვლები.....	10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	11
4. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	11
5. სადისტრიბუციო და გაყიდვის ხარჯები	17
6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	17
7. ფინანსური შემოსავალი	18
8. ფინანსური ხარჯი	18
9. ძირითადი საშუალებები.....	18
10. საინვესტიციო ქონება	19
11. გაცემული სესხები.....	19
12. მარაგები	20
13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	20
14. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	22
15. მიღებული სესხები.....	22
16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	23
17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	23
18. პირობითი ვალდებულებები.....	24
19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	26

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ფრანკოს“ ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ფრანკოს“ (შემდგომში „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ შენიშვნებს, მათ შორის არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიას აქვს გაცემული სესხები დაკავშირებულ და არადაკავშირებულ მხარეებზე, რომელიც 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია 13,040,945 და 10,172,101 ლარის ღირებულებით წლების შესაბამისად. 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები, გაცემული სესხის საბალანსო ღირებულების ამოღებადობასთან დაკავშირებით, ასევე გაუფასურების ზარალის შესახებ, რომ ხელმძღვანელობის შეფასება შეესაბამება მსს ფასს სტანდარტის მე-11 განყოფილების „ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტების“ მოთხოვნებს. შედეგად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღნიშნულ თანხებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

კომპანია გაყიდულ პროდუქციაზე გასცემს 1-დან 3-წლამდე პერიოდის გარანტიებს დეფექტების გენერალურ რემონტზე და გაყიდვის მომენტში არსებული დაზიანებული ერთეულების გამოცვლაზე. კომპანიას 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არ შეუფასებია და არ უღიარებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საგარანტიო ანარიცხები, როგორც იმ თანხის საუკეთესო შეფასება, რომელიც აუცილებელი იქნება წარსულში რეალიზებულ პროდუქციაზე წარმოქმნილი საგარანტიო ვალდებულების დასაფარად, მსს ფასს სტანდარტის 21-ე განყოფილების შესაბამისად. ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ ზემოაღნიშნული ხარვეზის ეფექტი ფინანსურ ანგარიშგებაზე. შედეგად, ვერ დავადგინეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირებების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში საგარანტიო ანარიცხებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია შპს „მოდერნ თაუნ“-თან ერთად წარმოადგენს თანამსესხებელს ბანკის სასარგებლოდ 2,233,273 ლარი და 5,212,343 ლარის საბალანსო ღირებულების სესხებზე. რაც გულისხმობს, რომ იმ შემთხვევაში, თუ შპს „მოდერნ თაუნ“ ვერ უზრუნველყოფს საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში ბანკის სესხის დაფარვას ან/და ხელშეკრულებით განსაზღვრული კოვენანტების და შეზღუდვების დაკმაყოფილებას, კომპანია იქნება ვალდებული გადაიხადოს სესხის თანხა. კომპანიას ფინანსურ ანგარიშგებაში არ შეუფასებია თანამსესხებლის ხელშეკრულებით განსაზღვრული თავდებობის პირობითი ვალდებულებები და ანარიცხის მოცულობა, შესაბამისად ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსური ანგარიშგების ელემენტებთან დაკავშირებით.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია შპს ქართულ ხორბალთან, შპს შამთან და დამფუძნებელთან ერთად წარმოადგენს თანამსესხებელს და თავდებს ბანკის სასარგებლოდ 2,222,172 ლარის საბალანსო ღირებულების სესხებზე. რაც გულისხმობს, რომ იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი ვერ უზრუნველყოფს საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში ბანკის სესხის დაფარვას ან/და ხელშეკრულებით განსაზღვრული შეზღუდვების დაკმაყოფილებას, კომპანია იქნება ვალდებული გადაიხადოს სესხის თანხა. კომპანიას ფინანსურ ანგარიშგებაში არ შეუფასებია თანამსესხებლის/თავდებობის ხელშეკრულებით განსაზღვრული თავდებობის პირობითი ვალდებულებები და ანარიცხის მოცულობა, შესაბამისად ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსური ანგარიშგების ელემენტებთან დაკავშირებით.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ მოთხოვნებით და ბესსს-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ას-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამოიწვეულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევიწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციების და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადგება და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-735032)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

8 დეკემბერი, 2025 წელი

შპს „ფრანკო“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები		17,317,700	16,790,204
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(10,281,432)	(10,457,877)
საერთო მოგება		7,036,268	6,332,327
სხვა შემოსავალი		114,346	345,554
სადისტრიბუციო და გაყიდვის ხარჯები	5	(1,610,733)	(1,714,539)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(535,419)	(506,245)
ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯი		(43,859)	64,437
საოპერაციო მოგება		4,960,603	4,521,534
ფინანსური შემოსავალი	7	1,653,897	705,990
ფინანსური ხარჯი	8	(1,436,990)	(1,276,135)
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული მოგება/(ზარალი), წმინდა		35,290	(18,331)
წლის სრული შემოსავალი		5,212,800	3,933,058

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 8 დეკემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



კარპუშ შუკაკიძე

10-26 გვერდებზე არსებული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ფრანკო“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები		17,317,700	16,790,204
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(10,281,432)	(10,457,877)
საერთო მოგება		7,036,268	6,332,327
სხვა შემოსავალი		114,346	345,554
სადისტრიბუციო და გაყიდვის ხარჯები	5	(1,610,733)	(1,714,539)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(535,419)	(506,245)
ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯი		(43,859)	64,437
საოპერაციო მოგება		4,960,603	4,521,534
ფინანსური შემოსავალი	7	1,653,897	705,990
ფინანსური ხარჯი	8	(1,436,990)	(1,276,135)
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული მოგება/(ზარალი), წმინდა		35,290	(18,331)
წლის სრული შემოსავალი		5,212,800	3,933,058

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 8 დეკემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

კარპეზ შუკაკიძე

შპს „ფრანკო“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები		17,317,700	16,790,204
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(10,281,432)	(10,457,877)
საერთო მოგება		7,036,268	6,332,327
სხვა შემოსავალი		114,346	345,554
სადისტრიბუციო და გაყიდვის ხარჯები	5	(1,610,733)	(1,714,539)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(535,419)	(506,245)
ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯი		(43,859)	64,437
საოპერაციო მოგება		4,960,603	4,521,534
ფინანსური შემოსავალი	7	1,653,897	705,990
ფინანსური ხარჯი	8	(1,436,990)	(1,276,135)
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული მოგება/(ზარალი), წმინდა		35,290	(18,331)
წლის სრული შემოსავალი		5,212,800	3,933,058

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 8 დეკემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

კარპეზ შუკაკიძე

10-26 გვერდებზე არსებული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ფრანკო“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	2,358,087	2,430,245
საინვესტიციო ქონება	10	3,543,500	3,543,500
არამატერიალური აქტივები		14,096	14,763
გაცემული სესხები	11	9,851,838	8,303,227
		15,767,521	14,291,735
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	12	13,554,596	9,787,106
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	7,249,409	7,734,763
გაცემული სესხები	11	3,189,107	1,868,874
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები	14	110,419	2,588,234
		24,103,531	21,978,977
სულ აქტივები		39,871,052	36,270,712
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		25,281,350	20,509,014
სულ კაპიტალი		25,281,350	20,509,014
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	15	5,388,329	6,767,500
		5,388,329	6,767,500
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	15	8,263,911	7,418,798
საგადასახადო ვალდებულებები		93,861	561,315
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	843,601	1,014,085
		9,201,373	8,994,198
სულ ვალდებულებები		14,589,702	15,761,698
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		39,871,052	36,270,712

10-26 გვერდებზე არსებული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ფრანკო“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2022 წლის 31 დეკემბერი		17,160,186	17,160,186
დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციის ეფექტი	11, 15	(584,230)	(584,230)
წლის სრული შემოსავალი		3,933,058	3,933,058
2023 წლის 31 დეკემბერი		20,509,014	20,509,014
დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციის ეფექტი	11, 15	(282,569)	(282,569)
გამოცხადებული დივიდენდები		(157,895)	(157,895)
წლის სრული შემოსავალი		5,212,800	5,212,800
2024 წლის 31 დეკემბერი		25,281,350	25,281,350

10-26 გვერდებზე არსებული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ფრანკო“

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგრამდე		5,212,800	3,933,058
კორექტირებები:			
ფინანსური შემოსავალი	7	(1,653,897)	(705,990)
საექვო მოთხოვნების რეზერვის ცვლილება	13	43,859	(64,437)
ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული ზარალი		12,358	-
მარაგების გაუფასურება	6	67,933	34,408
ცვეთა და ამორტიზაცია		68,774	62,422
ფინანსური ხარჯი	8	1,436,990	1,276,135
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული (მოგება)/ზარალი, წმინდა		(35,290)	18,331
ფულადი ნაკადები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		5,153,527	4,553,927
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		502,052	(1,397,274)
ცვლილება მარაგებში		(3,835,423)	1,808,729
ცვლილება სახელშეკრულებო აქტივებში		(67,999)	1,041,412
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		(170,484)	(1,515,805)
ცვლილება საგადასახადო ვალდებულებებში		(467,454)	184,569
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		1,114,219	4,675,558
მიღებული პროცენტი		26,819	26,065
გადახდილი პროცენტი		(1,069,063)	(910,899)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		71,975	3,790,724
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა		(8,305)	(266,290)
საინვესტიციო ქონების შეძენა		-	(3,543,500)
გაცემული სესხები		(6,211,426)	(9,669,547)
გაცემული სესხების მიღება		4,366,873	6,977,523
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(1,852,858)	(6,501,814)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხის დაფარვა		(10,005,793)	(10,130,481)
სესხის მიღება		9,424,026	12,641,571
დივიდენდის გადახდა		(157,895)	-
საფინანსო საქმიანობისთვის გამოყენებული / საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		(739,662)	2,511,090
წმინდა ცვლილება ფულად სახსრებში		(2,520,545)	(200,000)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	14	2,588,234	2,808,228
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		42,730	(19,994)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	14	110,419	2,588,234

10-26 გვერდებზე არსებული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ფრანკო (შემდგომში კომპანია, საიდენტიფიკაციო კოდი - 431171199) დაფუძნდა 2014 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, სამგორის რაიონი, კახეთის გზატკეცილი, მე-20 კმ.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საყოფაცხოვრებო ტექნიკის იმპორტი და რეალიზაცია ადგილობრივ ბაზარზე არსებულ მსხვილ ტექნიკის მაღაზიებზე. გარდა ამისა, კომპანიას პროდუქციის არაარსებითი ნაწილი გააქვს ექსპორტზე. კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს შემდეგი კატეგორიის საქონელს: წვრილი საყოფაცხოვრებო და სამზარეულოს ტექნიკა, სილამაზის, ჯანმრთელობისა და თავის მოვლისთვის განკუთვნილ ტექნიკა და ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კატეგორიის შესაბამისი აქსესუარები.

კომპანია წარმოადგენს ფრანკოს პროდუქციის ექსკლუზიურ იმპორტიორს საქართველოში - რეგისტრირებულია საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ბიუროში Franko-ს სავაჭრო ნიშნის მფლობელად.

კომპანიის დირექტორია ბატონი კარპეზ შუკაკიძე.

კომპანიის დამფუძნებლები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023
რობერტი მაშაევი	34%	34%
აბილაზ მურადოვი	33%	33%
თეიმურაზ შუკაკიძე	33%	33%

2. მომზადების საფუძველები

მომზადების საფუძველები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (შემდგომში „მსს ფასს“) შესაბამისად.

შეფასების საფუძველები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, თუ სხვაგვარად არაა მითითებული.

კომპანია, სააღრიცხვო ჩანაწერებს აწარმოებს მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, ქართულ ლარში. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებზე დაყრდნობით.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განაგრძონ კომპანია საქართველოში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისათვის.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბრის

(ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება - ჯგუფური მეთოდით სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ზარალის შესავსებად, კომპანიამ დააჯგუფა ერთი და იგივე საკრედიტო რისკის და ხანდაზმულობის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. გაუფასურების განაკვეთები განსაზღვრულია კომპანიის ისტორიული განაკვეთებით. გაუფასურების განაკვეთები მრავლდება შესაბამისი მოთხოვნების ნაშთზე იმ პერიოდისთვის, როდესაც თანხის გაანგარიშება ხდება და კლასიფიცირდება როგორც არა-ანაზღაურებადი. კომპანია თვლის, რომ ფინანსური აქტივი დეფოლტურია, როდესაც სახელშეკრულებო გადასახდელი 365 დღეზე მეტ ვადაგადაცილებამია. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ შესაძლებელია აქტივი დეფოლტურად მაშინაც ჩათვალოს, როდესაც შიდა და გარე ინფორმაცია მიუთითებს, რომ სავარაუდოა, კომპანიამ ვერ მიიღოს დასაფარი სახელშეკრულებო თანხები.

მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში. ფინანსური აქტივების გაუფასურების შესახებ დეტალები მოცემულია მე-13 შენიშვნაში.

4. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა**ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა**

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ. აღნიშნული სააღრიცხვო პოლიტიკა გამოყენებულია ყველა წარმოდგენილი პერიოდისთვის თუ დამატებით სხვა რამ არ არის მითითებული.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი („ლარი“). უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები თავდაპირველად აღიარდება სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციის განხორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშგებო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსი	
	ევრო	აშშ დოლარი
კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.9306	2.8068
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.9753	2.6894

ფინანსური ინსტრუმენტები**ფინანსური აქტივები**

ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებსა და ფულად სახსრებსა და მის ეკვივალენტებს. ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველი აღიარებისას ფასდება გარიგების ფასით. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმომ ფინანსური ვალდებულება უნდა შეაფასოს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალსო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები არის მომხმარებლებისაგან მისაღები თანხები წარმოშობილი მომსახურების გაწევის და პროდუქციის მიყიდვის შედეგად. თუ სავაჭრო მოთხოვნის დაბრუნება მოსალოდნელია ერთ საანგარიშგებო

4. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

პერიოდში ან უფრო ნაკლებში, ის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი აქტივი, წინააღმდეგ შემთხვევაში წარდება გრძელვადიან აქტივებში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან. ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე, ფულს გზაში და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, ასევე 3 თვემდე ვადიან დეპოზიტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები აღიარებულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით.

გაცემული სესხები

გაცემული სესხები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომელთა ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება გაცემული სესხების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

დაკავშირებული მხარეებზე გაცემული შეღავათიანი სესხების საწყისი აღიარებისა და შეფასების ცვლილების ეფექტი აისახება კაპიტალში, როგორც დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციების შედეგი.

გაუფასურება

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურებისა, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, კომპანია დაუყოვნებლივ აღიარებს გაუფასურების ზარალს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და მიღებულ სესხებს. ყველა ფინანსური ვალდებულება თავდაპირველი აღიარებისას ფასდება გარიგების ფასით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეცხლებული ტრანზაქციების ხარჯებით, შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

მიღებული სესხები

მიღებული სესხები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომელთა ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება მიღებული სესხების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული შეღავათიანი სესხების საწყისი აღიარებისა და შეფასების ცვლილების ეფექტი აისახება კაპიტალში, როგორც დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციების შედეგი.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ

4. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ანაზღაურებას შორის აისახება სრულ შემოსავალში.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღიარებულია ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ხარჯის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისთვის. იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა იცვითება საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	50
ავეჯი და საოფისე ინვენტარი	5
სატრანსპორტო საშუალებები	7

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება (მიწა ან შენობები ან შენობის ნაწილი ან ორივე), რომელსაც ფლობს საიჯარო შემოსავლების მიღების ან კაპიტალის ღირებულების ზრდის ან ორივე მიზნით. კომპანიას საინვესტიციო ქონებად წარდგენილი აქვს მხოლოდ მიწა (ცვეთა არ ერიცხება). საინვესტიციო ქონება აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს მისი შეძენის ფასსა და ნებისმიერ დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია უშუალოდ საინვესტიციო ქონების შეძენასთან. კომპანია არ ახდენს საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულებით შეფასებას, რადგან ეს დაკავშირებულია მიზანშეუწონელ დანახარჯებთან.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება, გუდვილის გარდა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია მიმოიხილავს საკუთარ მატერიალურ აქტივებს, რათა განსაზღვროს, ადგილი ხომ არ აქვს გაუფასურების ინდიკატორებს. თუ არსებობს ასეთი სახის ინდიკატორი, ამ აქტივის აღდგენითი ღირებულება შეფასებულია მისი გაუფასურების ზარალის (არსებობის შემთხვევაში) გასაანგარიშებლად. თუ შეუძლებელია აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება, მაშინ კომპანია აფასებს ფულის მაგენერირებელ იმ ერთეულს, რომელსაც ეკუთვნის აღნიშნული აქტივი.

4. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

თუ გონივრულად და თანმიმდევრულად არის შესაძლებელი განისაზღვროს გადანაწილების საფუძველი, ადმინისტრაციული აქტივებიც მიეკუთვნება ფულის მაგენერირებელ ერთეულს, ან წინააღმდეგ შემთხვევაში მათი მიკუთვნება ხდება ფულის მაგენერირებელ ყველაზე მცირე იმ ერთეულზე, რომლისთვისაც არის გონივრულად და თანმიმდევრულად შესაძლებელი განისაზღვროს გადანაწილების საფუძველი.

აღდგენითი ღირებულება არის აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. იმ შემთხვევაში, თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის აღდგენით ღირებულებამდე. გაუფასურების დანაკარგები აღიარებას ექვემდებარება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

გაუფასურების ზარალის აღდგენის დროს, აქტივის საბალანსო ღირებულება (ან ფულის მაგენერირებელი ერთეული) იზრდება აღდგენით ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ აღდგენითმა ღირებულებამ არ გადააჭარბოს აქტივის (ფულის მაგენერირებელი ერთეულის) საბალანსო ღირებულებას, წინა პერიოდებში გაუფასურებამდე.

გაუფასურების ზარალის აღდგენა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება მოხდენისთანავე.

მარაგები

მარაგები თავდაპირველად აღრიცხულია თვითღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება უმცირესით თვითღირებულებასა და წმინდა გასაყიდ ფასს შორის. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასსა და სხვა დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგის შესაბამის ადგილსა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები. ფასდათმობები და გადასახადები, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნონ შემდგომში არ ჩაირთვება მარაგის თვითღირებულებაში.

კომპანია ყველა სახის მარაგის ჩამოწერისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანუღირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

საქონელი გზაში

საქონელი გზაში წარმოადგენს ყველა იმ საქონელს, რომელიც შესყიდული და გადაზიდვას დაქვემდებარებულია, თუმცა ჯერ არ არის მიწოდებული. საქონელზე რისკები და სარგებელი გადაცემულია კომპანიისათვის, მათი გადაზიდვის ადგილმდებარეობიდან.

დაბეგვრა

გადასახადები მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. მოგების გადასახადით დაბეგვრა ხდება მოგების განაწილების დროს. საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს 15%-ს. მოგების გადასახადით ხდება არა წლიური შედეგების, არამედ ყოველთვიური შედეგის დაბეგვრა. მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

2008 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში დაგროვილი მოგება, რომლისთვის გადახდილია მოგების გადასახადი, არ ექვემდებარება განმეორებით დაბეგვრას.

4. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად, კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ურთიერთგადახურვით.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

ამონაგები

შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავლები წარმოდგენილია ფასდაკლებების გამოკლებით. კომპანია ამონაგებს აღიარებს, როდესაც შემდეგი პირობებია შესრულებული:

(ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;

(ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;

(გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; და

(დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

საგარანტიო ანარიცხები

კომპანია იძლევა გარანტიას დეფექტების გენერალურ რემონტზე და გაყიდვის მომენტში არსებული დაზიანებული ერთეულ(ებ)ის გამოცვლაზე, იმის რწმუნების უზრუნველსაყოფად, რომ გაყიდული პროდუქტები შეესაბამებოდეს შეთანხმებულ სპეციფიკაციებს. კომპანია საგარანტიო ანარიცხს ანგარიშობს საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლიდან, რომელშიც არ არის გათვალისწინებული ექსპორტზე გატანილი საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი. ხელშეკრულების პირობიდან გამომდინარე ექსპორტზე გატანილ საქონელზე ჯგუფს არ წარმოექმნება საგარანტიო მომსახურების გაწევის არც იურიდიული და არც კონსტრუქციული ვალდებულება. კომპანია რეალიზებულ საქონელზე გარანტიას გასცემს რეალიზაციის შემდეგ პერიოდზე, 1-დან 3-წლამდე.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

4. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმომშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები.

სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

- წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნის სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

33-ე განყოფილების მიხედვით კომპანია დაკავშირებულ მხარეებად განიხილავს:

(ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ ეს პირი:

- (i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;
- (ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან
- (iii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

- (i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული);
- (ii) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საკმდიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საკმდიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);
- (iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საკმდიანობას;
- (iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საკმდიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;
- (v) ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საკმდიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარიში)

4. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მხარედ მიიჩნევა;

(vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს(ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;

(vii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობელი საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;

(viii) (ა) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი მშობელი საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

5. სადისტრიბუციო და გაყიდვის ხარჯები

	2024	2023
ხელფასის ხარჯი და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(1,334,358)	(1,275,354)
მივლინების ხარჯი	(88,449)	(65,702)
ცვეთა და ამორტიზაცია	(54,335)	(45,562)
კომუნალური ხარჯი	(26,549)	(25,305)
საწვავის ხარჯი	(27,691)	(33,986)
მარკეტინგის და პრომოუშენის ხარჯი	(19,365)	(218,538)
ავტომანქანის მოვლა-შენახვის ხარჯები	(13,201)	(18,823)
სხვა	(46,785)	(31,269)
	(1,610,733)	(1,714,539)

6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
ხელფასის ხარჯი და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(272,713)	(242,164)
მარაგების გაუფასურების ხარჯი	(67,933)	(34,408)
საკონსულტაციო მომსახურება	(38,562)	(57,159)
ქონების გადასახადის ხარჯი	(25,916)	(26,304)
საგარანტიო მომსახურების ხარჯი	(20,446)	(41,925)
ბანკის საკომისიო	(15,138)	(51,432)
ცვეთა და ამორტიზაცია	(14,439)	(16,859)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(14,140)	(14,441)
კომუნალური ხარჯი	(15,178)	(10,650)
სხვა	(50,954)	(10,903)
	(535,419)	(506,245)

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

7. ფინანსური შემოსავალი

	2024	2023
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხების ამორტიზაციის ეფექტი	1,472,638	576,925
მიმდინარე ანგარიშზე დარიცხული პროცენტი	26,819	26,065
გაცემულ სესხებთან დაკავშირებული საკურსო სხვაობის ეფექტი	154,440	103,000
	1,653,897	705,990

8. ფინანსური ხარჯი

	2024	2023
საფინანსო ინსტიტუტებისგან მიღებულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(1,069,063)	(910,899)
მიღებულ სესხებთან დაკავშირებული საკურსო სხვაობის ეფექტი	(248,537)	(174,018)
დამფუძნებლებისგან მიღებულ სესხების ამორტიზაციის ეფექტი	(119,390)	(142,351)
გაცემული სესხების საწყისი აღიარების ეფექტი	-	(48,867)
	(1,436,990)	(1,276,135)

9. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა-ნაგებობა	ავეჯი და საოფისე ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
01.01.2023	378,369	1,955,640	135,937	90,698	2,560,644
შემოსვლა	-	-	5,349	131,999	137,348
31.12.2023	378,369	1,955,640	141,286	222,697	2,697,992
შემოსვლა	-	-	8,305	-	8,305
გასვლა	-	-	-	(23,044)	(23,044)
31.12.2024	378,369	1,955,640	149,591	199,653	2,683,253

დაგროვილი ცვეთა

01.01.2023	-	(258,664)	(53,000)	(22,998)	(334,662)
წინა პერიოდის ცვეთის პერსპექტიულად გასწორება*	-	128,942	-	-	128,942
ცვეთა	-	(35,755)	(15,110)	(11,162)	(62,027)
31.12.2023	-	(165,477)	(68,110)	(34,160)	(267,747)
ცვეთა	-	(35,613)	(13,920)	(18,572)	(68,105)
გასვლა	-	-	-	10,686	10,686
31.12.2024	-	(201,090)	(82,030)	(42,046)	(325,166)

წმინდა საბალანსო ღირებულება

31.12.2023	378,369	1,790,163	73,176	188,537	2,430,245
31.12.2024	378,369	1,754,550	67,561	157,607	2,358,087

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

9. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

(*) - კომპანიამ 2023 წელს გაასწორა წინა პერიოდების შენობა-ნაგებობების ცვეთის ხარჯი. რადგან კორექტირების თანხა იყო არაარსებითი, ცვლილებების შედეგი აისახა პერიოდის მოგება - ზარალის შემადგენელ ნაწილად, როგორც წინა პერიოდის პერსპექტიული კორექტირება.

ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხები სრულად უზრუნველყოფილია კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებით, ჯამური საბალანსო ღირებულებით 2,132,919 ლარი და 2,168,532 ლარი, 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ, შენიშვნა 10 და 15.

10. საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება წარმოდგენილია ორი ერთეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთით, რომელთა ჯამური ფართობია 18,960 კვადრატული მეტრი. მიწები განთავსებულია ქალაქ თბილისში კახეთის გზატკეცილისა და მიმდებარე ტერიტორიებზე.

აღნიშნული მიწების ფლობის მიზანი განსაზღვრულია, როგორც კაპიტალის გრძელვადიანი ზრდა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აღნიშნული მიწების გამოყენებაში ცვლილებები არ ფიქსირდება.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საინვესტიციო ქონება სრულად არის ჩადებული ფინანსური ინსტიტუტისგან მიღებული სესხების უზრუნველსაყოფად.

11. გაცემული სესხები

	დაფარვის თარიღი	31.12.2024	31.12.2023
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები	06 - 2026-დან 10-2028-მდე	12,695,945	10,172,101
არადაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხები	03-2027-მდე	345,000	-
		13,040,945	10,172,101

სესხები ნომინირებულია როგორც ლარში, ასევე დოლარში. ნომინალური საპროცენტო დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხის შემთხვევაში მერყეობს 0%-დან 14.3%-მდე, ხოლო აშშ დოლარში გაცემული სესხების შემთხვევაში მერყეობს - 0%-დან - 6.5%-მდე. რაც შეეხება არადაკავშირებულ მხარეებზე გაცემულ სესხებს - ნომინირებულია ლარში და საპროცენტო განაკვეთი განსაზღვრულია წლიური 12%-13%-ის ოდენობით.

დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხების თავდაპირველი აღიარება მოხდა რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით. დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხების საწყისი აღიარების და შეფასების ცვლილებების ეფექტი აისახა კაპიტალში, როგორც დამფუძნებელთან განხორციელებული ოპერაციის შედეგი და 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 602,787 ლარი და 605,155 ლარი, წლების შესაბამისად, ხოლო არადაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხის საწყისი აღიარების ეფექტი აისახა პერიოდის მოგება-ზარალში, როგორც ფინანსური ხარჯი და შეადგინა - 0 ლარი და 48,867 ლარი 2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის.

კომპანია სესხის ვადაგადაცილების სტატუსს განიხილავს, როგორც სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობის ძირითად მაჩვენებელს. კომპანიამ განიხილა ქვემოთ მოცემული ფაქტორების კომბინირებული ეფექტი:

ა) მსესხებლის მნიშვნელოვანი ფინანსური სიძნელეები;

ბ) სახელშეკრულებო პირობების დარღვევა, როგორიცაა, მაგალითად ძირი თანხის ან პროცენტის გადაუხდელობა, ან გადახდის ვადაგადაცილება;

გ) მოსალოდნელი ხდება, რომ მსესხებელი დაიწყებს გაკოტრებას;

დ) უზრუნველყოფის ღირებულების შეფარდება სესხის თანხასთან

ხელმძღვანელობის შეფასებით 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის გაცემული სესხები არ არის გაუფასურებული.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

12. მარაგები

	31.12.2024	31.12.2023
საყოფაცხოვრებო ტექნიკა	13,498,908	9,094,330
სათადარიგო ნაწილები	55,688	22,943
საქონელი გზაში*	-	669,833
	13,554,596	9,787,106

(*) - საქონელი გზაში წარმოადგენს მარაგებს, რომელთან დაკავშირებითაც კომპანიაზე გადმოცემულია ფლობის რისკი და სარგებელი, თუმცა 31 დეკემბრისთვის აღნიშნული მარაგები იმყოფება გზაში.

2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით საქონელი გზაში სრულად წარმოდგენილია საყოფაცხოვრებო ტექნიკით.

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2024	31.12.2023
ფინანსური მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები	4,203,369	4,419,502
გაუფასურების რეზერვი	(196,257)	(152,398)
სახელშეკრულებო აქტივები*	2,855,100	2,787,101
	6,862,212	7,054,205
არაფინანსური მოთხოვნები		
გადახდილი ავანსები	387,197	680,558
	387,197	680,558
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7,249,409	7,734,763

(*) – სახელშეკრულებო აქტივები ძირითადად უკავშირდება კომპანიის უფლებას მიიღოს შესრულებული, მაგრამ არა დარიცხული ანაზღაურება მიწოდებული საქონლისთვის, საანგარიშგებო თარიღისთვის ანუ იმ ხელშეკრულებიდან წარმოქმნილი აქტივები, სადაც კომპანიას შესრულებული აქვს ხელშეკრულების პირობები, საქონელი გადაცემულია მყიდველზე მანამდე, სანამ ამ საქონლის ანაზღაურების გადახდის ვადა დადგება, საწარმოს ასახული აქვს როგორც სახელშეკრულებო აქტივი.

სახელშეკრულებო აქტივები გაუფასურებაზე შეფასებულია ინდივიდუალურად. 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სახელშეკრულებო აქტივები წარმოადგენს სრულად არაგაუფასურებულის კატეგორიას.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სახელშეკრულებო აქტივების სრულად გადასულია სავაჭრო მოთხოვნებში და დაფარულია.

კომპანიის მოთხოვნები ძირითადად შედგება საყოფაცხოვრებო ტექნიკის რეალიზაციიდან წარმოქმნილი მოთხოვნებისგან.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მოთხოვნების ხარისხობრივი ინფორმაცია ვადაგადაცილების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	საბალანსო ღირებულება	გაუფასურების განაკვეთი	გაუფასურების ანარიცხი
ჯგუფურად განხილული მოთხოვნები			
ვადადამდგარი	3,039,737	0%	-
ვადაგადაცილება 0-30 დღე	775,159	5%	(38,758)
ვადაგადაცილება 31-90 დღე	211,469	10%	(21,147)
ვადაგადაცილება 91-180 დღე	31,061	30%	(9,318)
ვადაგადაცილება 181-360 დღე	37,818	50%	(18,909)
361 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	108,125	100%	(108,125)
სულ ჯგუფურად გაუფასურებული	4,203,369		(196,257)
გაუფასურებაზე ინდივიდუალურად განხილული მოთხოვნები	2,855,100		-
სულ ფინანსური აქტივები	7,058,469		(196,257)

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მოთხოვნების ხარისხობრივი ინფორმაცია ვადაგადაცილების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	საბალანსო ღირებულება	გაუფასურების განაკვეთი	გაუფასურების ანარიცხი
ჯგუფურად განხილული მოთხოვნები			
ვადადამდგარი	3,622,912	0%	-
ვადაგადაცილება 0-30 დღე	545,256	5%	(27,263)
ვადაგადაცილება 31-90 დღე	116,989	10%	(11,699)
ვადაგადაცილება 91-180 დღე	14,697	30%	(4,409)
ვადაგადაცილება 181-360 დღე	21,242	50%	(10,621)
361 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	98,406	100%	(98,406)
სულ ჯგუფურად გაუფასურებული	4,419,502		(152,398)
გაუფასურებაზე ინდივიდუალურად განხილული მოთხოვნები	2,787,101		-
სულ ფინანსური აქტივები	7,206,603		(152,398)

ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხებში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
1 იანვარი	(152,398)	(216,835)
დარიცხვა/აღდგენა	(43,859)	64,437
31 დეკემბერი	(196,257)	(152,398)

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

14. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31.12.2024	31.12.2023
ფული სალაროში	16,833	179,701
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში	50,170	1,073,669
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში	43,416	1,334,864
	110,419	2,588,234

15. მიღებული სესხები

	31.12.2024	31.12.2023
ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხები	12,208,728	12,926,628
დამფუძნებლებისგან მიღებული სესხები	1,378,955	1,259,670
დაკავშირებული მხარისგან მიღებული სესხი	64,557	-
	13,652,240	14,186,298

ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი ლარში მიღებული სესხებისთვის განსაზღვრულია 8.5%-დან 14%-მდე, ხოლო აშშ დოლარში ნომინირებული სესხებისთვის 6%-დან 6.5%-მდე. რაც შეეხება დამფუძნებლებისგან და დაკავშირებული მხარისგან მიღებულ სესხებს, წარმოდგენილია მოკლევადიანი უპროცენტო სესხებით.

დამფუძნებლებისგან მიღებული სესხების თავდაპირველი აღიარება მოხდა რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით. საწყისი აღიარების და შეფასების ცვლილების ეფექტი აისახა კაპიტალში, როგორც დამფუძნებელთან განხორციელებული ოპერაციის შედეგი და 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 320,218 ლარი და 20,925 ლარი, წლების შესაბამისად.

ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხების უზრუნველყოფა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

- პირადი თავდებობა: ი/მ აბილაზ მურადოვი, თეიმურაზ შუკაკიძე, რობერტ მაშავეი,
- საცხოვრებელი ფართი: კარაპეზი შუკაკიძე, შპს მოდერნ თაუნი
- სავაჭრო ფართი: ი/მ ნელი შუკაკიძე
- საწარმოო ფართი: შპს ფრანკო
- სასოფლო სამეურნეო ფართი: ალექსანდრე ბენდენლიანი, გიორგი ჭელიძე, შპს ფრანკო, თეიმურაზ შუკაკიძე, კარაპეზი შუკაკიძე,
- საოფისე ფართი: შპს მოდერნ თაუნი
- მიწის ნაკვეთი: ზაქარია ტაბატაძე

გარდა, ამისა 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საფინანსო ინსტიტუტებისგან მიღებული სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებით, დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 9 და შენიშვნა 10.

ფინანსურ ინსტიტუტებისგან მიღებულ სესხებთან დაკავშირებით კომპანიას მოეთხოვება, რომ დააკმაყოფილოს ხელშეკრულებით განსაზღვრული კოვენანტები. დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია მე-18 შენიშვნაში. 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია აკმაყოფილებს ყველა კოვენანტსა და შეზღუდვას.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ფლობდა საფინანსო ინსტიტუტების მიერ გამოშვებულ საბანკო გარანტიას 150,000 ლარის ოდენობით.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია საფინანსო ინსტიტუტთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების ფარგლებში დამტკიცებული ჰქონდა ლიმიტი 2,137,774 ლარის და 1,354,798 აშშ დოლარის ოდენობით, რომლისთვისაც კომპანიამ 2024 წელს გასწია დამუშავება/ სტრუქტურირების მომსახურების საკომისიო ხარჯი - 60,048 ლარისა და 20,150 აშშ დოლარის ოდენობით, შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2024	31.12.2023
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	747,840	892,476
სხვა ვალდებულებები	95,761	119,059
	843,601	1,011,535
არა-ფინანსური ვალდებულებები		
მიღებული ავანსები	-	2,550
	-	2,550
	843,601	1,014,085

ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან არის, როდესაც:

- მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ, ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;
- მხარე არის საწარმოს, ან მისი სათავო საწარმოს, უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;
- მხარე არის (ა) და (ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;
- მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (გ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას, ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პიროვნებები.

დაკავშირებულ მხარეებთან თითოეული შესაძლო კავშირის განხილვისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ოპერაციის ეკონომიკურ შინაარსზე, და არა მის სამართლებრივ მხარეზე. კომპანიასა და მისი დაკავშირებული მხარეების არსებითი ურთიერთობის დეტალები მოცემულია ქვემოთ.

კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ოპერაციები და ნაშთები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სხვა დაკავშირებული მხარეები	დამფუძნებლები
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	628,464	158,300
გაცემული სესხები	12,695,945	-
მიღებული სესხები	64,556	1,378,956
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	36,588	-
სრული შემოსავლის ანგარიშგება		
ამონაგები	2,781,049	5,888
სხვა შემოსავალი	114,346	-
ადმინისტრაციული ხარჯი	(497)	-
გაყიდვების და მიწოდების ხარჯები	-	(12,006)
ფინანსური ხარჯი	-	(119,390)
ფინანსური შემოსავალი	1,472,638	-

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ოპერაციები და ნაშთები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სხვა დაკავშირებუ ლი მხარეები	დამფუძნებლები
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	177,781	-
გაცემული სესხები	10,172,101	-
მიღებული სესხები	-	1,259,670
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12,590	-
სრული შემოსავლის ანგარიშგება		
ამონაგები	603,517	4,103
სხვა შემოსავალი	114,346	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-	(6,704)
ფინანსური ხარჯი	-	(142,351)
ფინანსური შემოსავალი	576,925	-

დირექტორების, ხელმძღვანელობის და სამეთვალყურეო საბჭოს სხვა წევრების ანაზღაურება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
უმაღლეს ხელმძღვანელ პირთა შრომის ანაზღაურება	(22,112)	(18,886)

18. პირობითი ვალდებულებები**იურიდიული საკითხები**

2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას, როგორც მოპასუხეს არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

საოპერაციო გარემო

საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის მიმართავს ყველა საჭირო ღონისძიებას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციისა და ცვლილების საგანი. ხელმძღვანელობის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების მიერ ინტერპრეტაციებისაგან და კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის მანძილზე.

18. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის განსაზღვრა საიმედოდ არის შესაძლებელი. ანარიცხი არ აღიარდება, ისეთ სადაო საგადასახადო საკითხებზე, რომლის დასაბეგრი თანხის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

დივიდენდის განაწილება

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მიხედვით, კომპანია გადასახდელი მოგების გადასახადის ვალდებულებასა და ხარჯს აღიარებს განაწილებულ დივიდენდზე, იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები არის გამოცხადებული, მიუხედავად იმისა, თუ რომელ პერიოდს ეკუთვნის დივიდენდი, ან როდის მოხდა დივიდენდების საბოლოო განაწილება.

პოტენციურად მაქსიმალური გადასახდელი მოგების გადასახადი, რომელიც შეიძლება კომპანიას წარმოექმნას გაუნაწილებელი მოგების მთლიანად დივიდენდის სახით განაწილების შემთხვევაში, არ არის აღიარებული კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში. მომავალში, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული გაუნაწილებელი მოგებიდან განაწილებული დივიდენდების შემთხვევაში გადასახდელი მოგების გადასახადის მაქსიმალურმა ოდენობამ შეიძლება შეადგინოს 1,264,068 ლარი.

ექსკლუზიური ტარიფებით მომსახურების შესახებ

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას საფინანსო ინსტიტუტთან გაფორმებული აქვს ექსკლუზიური ტარიფებით მომსახურების ხელშეკრულება, რომლის ფარგლებში კომპანიას 2025 წლის განმავლობაში მოუწევს ანგარიშების გახსნის და მომსახურების, გადარიცხვის წარმოებასთან დაკავშირებული საკომისიოს გადახდა - 53,457 ლარისა და 26,554 აშშ დოლარის ოდენობით.

თავდებობა (თანამსესხებლობა)

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია დაკავშირებულ მხარესთან - შპს „მოდერნ თაუნი“, ერთად წარმოადგენს თანამსესხებელს ბანკის სასარგებლოდ 2,233,273 ლარი და 5,212,343 ლარის საბალანსო ღირებულების სესხებზე.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია დაკავშირებულ მხარესთან - შპს ქართული ხორბალი, შპს შამი და დამფუძნებელთან ერთად წარმოადგენს თანამსესხებელს და თავდებს ბანკის სასარგებლოდ 2,222,172 ლარის საბალანსო ღირებულების სესხებზე.

კოვენანტებთან შესაბამისობა

საფინანსო ინსტიტუტებისგან მიღებულ საკრედიტო პროდუქტებთან დაკავშირებით კომპანია ვალდებულია დააკმაყოფილოს გარკვეული კოვენანტები და შუზღუდვები, მათ შორის:

1.2.1 "ჯამურმა სასესხო ვალდებულებებმა არ უნდა შეადგინოს საოპერაციო მოგების (EBITDA) 300%-ზე მეტი. (EBITDA) - საოპერაციო მოგება საპროცენტო ხარჯებისა და ამორტიზაციის გარეშე გადასახადები დაკლებულია]. "

1.2.2 "სესხის მიმდინარეობისას შენარჩუნებული უნდა იყოს სესხის მომსახურების კოეფიციენტი DSCR მინიმუმ 1,3 დონეზე [DSCR (P&L - based) იანგარიშება: EBITDA-Maintenance CAPEX მოგების გადასახადი]/(გრძელვადიან სესხებზე გადასახდელი ძირი და პროცენტი)].

Free Cash-დან დათვლილი სესხის მომსახურების კოეფიციენტი უნდა იყოს მინიმუმ 1.05 დონეზე.[DSCR (CFADS) იანგარიშება: (EBITDA ცვლილება საბრუნავ კაპიტალში - Maintenance CAPEX - დივიდენდი - მოგების გადასახადი)/(გრძელვადიან სესხებზე გადასახდელი ძირი და პროცენტი)] "

1.2.3 "კომპანია ვალდებულია სესხის მიმდინარეობისას უზრუნველყოს ICR კოეფიციენტის შენარჩუნება მინიმუმ

3.0 დონეზე ICR კოეფიციენტი იანგარიშება როგორც კომპანიის საოპერაციო მოგება EBITDA - Maintenance Capex შეფარდებული კომპანიის მიერ პერიოდის მანძილზე გადასახდელ საპროცენტო ხარჯებთან."

1.3.1 მსესხებელს არ აქვს უფლება ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე გააფორმოს ლიზინგი, აიღოს სესხები ან რაიმე სხვა ფინანსური ვალდებულება, გარდა კონსიგნაციით შეძენილი სარეალიზაციო პროდუქციის ვალდებულებისა, რაც საფრთხეს უქმნის ბანკის ვალდებულებების შესრულებას

1.3.2 მსესხებელს არ აქვს უფლება ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე გასცეს ფინანსური გარანტიები ან მოთხოვნის უფლებით დატვირთოს სხვა პირების მიმართ მის საკუთრებაში არსებული აქტივები, ასევე არ მოხდეს მსესხებლის ან მისი გარანტორი კომპანიების წილების მოთხოვნის უფლებით დატვირთვა მესამე პირების

18. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

სასარგებლოდ.

1.3.3 მსესხებელს არ აქვს უფლება ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე გაასხვისოს, იჯარით გასცეს ან რაიმე სხვა ფორმით სხვას განკარგულებაში გადასცეს მის საკუთრებაში არსებული ფიქსირებული აქტივები.

1.3.4 მსესხებელს არ აქვს უფლება ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე განახორციელოს კაპიტალური დანახარჯები ან ინვესტიციები სხვა კომპანიებში

1.3.5 მსესხებელს არ აქვს უფლება ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე გასცეს დივიდენდები

1.3.6 მსესხებელს არ აქვს უფლება ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე გასცეს სესხები

1.3.7 სესხის მოქმედების პერიოდში, სამეწარმეო რეესტრის ამონაწერში საგადასახადო გირავნობის ან ინკასოს გაჩენის შემთხვევაში, მსესხებელი ვალდებულია, უზრუნველყოს მისი მოხსნა 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

1.3.8 მსესხებელს/პრინციპალს არ აქვს უფლება, სესხის/გარანტიის მოქმედების პერიოდში, გააფორმოს რაიმე სახის ექსკლუზიური ხელშეკრულება, ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე

1.3.9 მსესხებელი ვალდებულია საბანკო ბრუნვების 100% აწარმოოს თიბისი ბანკში მის არსებულ ანგარიშებზე.

2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია აკმაყოფილებს ყველა კოვენანტსა და შეზღუდვას.

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

მიღებული სესხები - საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიამ საფინანსო ინსტიტუტებისგან აიღო 10,945,525 ლარის ახალი სესხები და დაფარა 14,163,220 ლარის სესხის ძირი.

გაცემული სესხები - საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიამ დაკავშირებულ მხარეებზე გასცა დამატებით 5,698,772 ლარის სესხები. ასევე, საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დაიფარა გაცემული სესხები 4,373,180 ლარის ოდენობით დარიცხულ პროცენტთან ერთად.